სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა საყურადღებოდ!

2006 წლის 6 ნოემბერს დაგეგმილ აქციონერთა საერთო კრებაზე განსახილველი ს.ს. "საქართველოს ბანკის" წესდებაში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები და შესწორებები:

მუხლი / პუნქტი	**ცვლილების ხასიათი**	**შენიშვნა**
3.1	შეიცვალა (გაიზარდა) განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა	ცვლილება განხორციელდა ახალი აქციების გამოცემასთან დაკავშირებით
3.2	შეიცვალა (გაიზარდა) ბანკის აქციათა რაოდენობა	ცვლილება განხორციელდა ახალი აქციების გამოცემასთან დაკავშირებით
3.2	ბოლო წინადადებაში "ღირებულების" წინ ჩაემატა სიტყვა "ნომინალური"	კანონი კრძალავს ბანკის აქციების გაცემას ამგვარი აქციების **ნომინალური ღირებულების** დაფარვამდე
3.4	დაემატა ახალი (მეორე) პარაგრაფი	აღნიშნული პარაგრაფის მიზანია დააკონკრეტოს ახლადემიტირებულ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების პროცედურების დადგენა
5.3	მუხლი 5.3 ამოღებულ იქნა (მუხლი 5.4 გადაინომრა შესაბამისად)	აღნიშნული საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და საბუღალტრო-სააღრიცხვო წესებით; შესაბამისად, არ წარმოადგენს წესდების რეგულირების სფეროს
7.3	შეიცვალა (დაემატა) 7.3.5 პუნქტი, რომელიც დაიყო რამოდენიმე პუნქტად (7.3.5-7.3.8 პუნქტები)	ცვლილება განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისა და გადარჩევის პროცედურების მკაფიოდ ჩამოსაყალიბებლად
7.3.14	15% გაიზარდა 25%-მდე	აღნიშნული ცვლილება განხორციელდა ბანკის საქმიანობის ფარგლებში გადაწყვეტილებების გასამარტივებლად (ცნობისათვის, კანონით დადგენილი ლიმიტი არის 50%)
7.5	შეიცვალა გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ხმების ოდენობები (ზრდის თვალსაზრისით)	აღნიშნული ცვლილება განხორციელდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მინორიტარული აქციონერების ინტერესების დასაცავად. ასევე ცალსახად განიმარტა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევის პროცედურა
8.1	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა შემცირდა 5-მდე	ცვლილება განხორციელდება საერთო კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
8.2	პუნქტის დასაწყისში ამოღებულ იქნა სიტყვა "დანარჩენი" და დაემატა "სამეთვალყურეო საბჭოს"	წესდების არსებულ ვარიანტში იყო ტექნიკური შეცდომა, რომლის გასასწორებლადაც არის გამიზნული შემოთავაზებული ცვლილება
8.5	(ა) დაემატა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის პროცედურა და (ბ) ამოღებულ იქნა წინადადება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გამოწვევის	(ა) ცვლილება განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის პროცედურის დასახვეწად;

	შესახებ	(ბ) აღნიშნული საკითხი დარეგულირდა 7.3.7 პუნქტით
8.9	მე-3 წინადადებას დაემატა "უფრო მოკლე ვადებშიც"	ცვლილების მიზანია გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უზრუნველსაყოფად გაამარტივოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდოების მოწვევის პროცედურა
8.15.9	პუნქტი გამარტივდა	ცვლილების მიზანია ცალსახად და არაორაზროვნად ჩამოყალიბდეს სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას დაქვემდებარებული საკითხები
9.4.3	საანგარიშო წლის წლიური ბიზნეს გეგმის მომზადების ვადამ გადაიწია გასული წლის დეკემბრიდან საანგარიშო წლის იანვრის ბოლომდე	გამომდინარე არსებული რეალობიდან, ფინანსური წლის ბოლომდე (სანამ არ შეჯამდება განვლილი წლის ფინანსური შედეგები), არაპრაქტიკულია მომავალი წლის ბიზნეს გეგმის შემუშავება.
11	დაემატა ახალი მუხლი ("გარიგებები დაკავშირებულ პირებთან") (მომდევნო მუხლები გადაინომრა შესაბამისად)	ცვლილების მიზანია მკაცრად გაკონტროლდეს გარიგებები დაკავშირებულ პირებთან (რაც ასევე მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობით)

წესდებაში ასევე შევიდა უმნიშვნელო გრამატიკული შესწორებები და არაშინაარსობრივი კორექტივები, რაც არ ცვლის შესაბამისი მუხლების არსსა და მიზანს.

დამატებითი განმარტებების მისაღებად, გთხოვთ, წერილობითი ფორმით მიმართოთ სს "საქართველოს ბანკის" სათაო ოფისში ინვესტორებთან ურთიერთობების დეპარტამენტს 2006 წლის 27 ოქტომბრამდე.